გრასის დეზინფორმაციის ბრიფი: 4 ივნისი - 10 ივნისი

- **საქართველოს რეფორმების ასოციაციის განცხადება;**
- **აშშ-მა ქართველ მაღალჩინოსნებს სანქციების პირველი ტრანში დაუწესა - მმართველი პარტიის განცხადებები;**
- **„ქართული ოცნების“ შეფასებით, ევროპარლამენტში ჩატარებული არჩევნების შედეგები ევროპული პოლიტიკის სისუსტეებზე მიუთითებს;**
- **„ქართულმა ოცნებამ“ დააინიციირა კანონპროექტი „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ;**
- **მმართველი პარტიის სხვა დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ნარატივები;**
- **პროკრემლისტური ჯგუფები კვლავ იმეორებენ „ქართული ოცნების“ ნარატივებს;**
- **პროკრემლისტური ჯგუფების ანტიდასავლური შეთქმულების თეორიები.**

საქართველოს რეფორმების ასოციაციის განცხადება

9 ივნისს თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ჩვენს თანამშრომელს, ფაქტ-მეტრის დეზინფორმაციის პროგრამის რედაქტორს მარიამ წიწიკაშვილს აეროპორტში ჩაუარა საქართველოს პარლამენტის დეპუტატმა ვიქტორ ჯაფარიძემ, ერთ-ერთმა ვინც რუსულ კანონს დაუჭირა მხარი. მარიამმა მას შენიშვნა მისცა იმ გადაწყვეტილების გამო, რომელიც დეპუტატმა, როგორც პოლიტიკოსმა მიიღო. ამასთან, შენიშვნა დააფიქსირა სიტყვისა და გამოხატვის უფლებების ფარგლებში, უცენზურო და შეურაცხმყოფელი სიტყვების გამოყენების გარეშე. მომხდარიდან მალევე მარიამ წიწიკაშვილი წვრილმანი ხულიგნობის ბრალდებით დააკავეს. დეპუტატის წინაშე მისი საქმიანობის გამო უკმაყოფილების დაფიქსირების წვრილმან ხულიგნობად ინტერპრეტირება არღვევს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ უფლებებს და წარმოადგენს მზარდი ავტორიტარიზმისკენ გადადგმულ კიდევ ერთ ნაბიჯს.

ამასთან, ვიდეოდან ნათლად ჩანს, რომ პარლამენტის წევრი მარიამ წიწიკაშვილის მიმართ დისკრიმინაციულ ლექსიკას იყენებს. მარიამის რეპლიკაზე, რომ ის ემიგრანტი დედის შვილია და დედით ოსია, პარლამენტის წევრი პასუხად რამდენჯერმე იმეორებს: „გეტყობა“. საქართველოს პარლამენტის წევრის ეთიკის კოდექსის მე-2 მუხლის „ბ“ ქვეპუნქტი პარლამენტის წევრს ავალდებულებს, რომ ყველა მოქალაქეს მოეპყრას თანასწორად, მიუხედავად წარმოშობისა თუ ეთნიკური კუთვნილებისა, სოციალური მდგომარეობისა თუ სხვა განმსახვავებელი ნიშნისა. აღნიშნული განსაზღვრულია ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლის „ო“ ქვეპუნქტშიც. საქართველოს პარლამენტის წევრის ამგვარი ქმედება არღვევს ერთიკის კოდექსით გნსაზღვრულ მოთხოვნებს. გარდა ეთიკის კოდექსის დარღვევისა, აღნიშნული ქმედება აღვივებს ეთნიკურ შეუწყნარებლობას და საფრთხეს უქმნის საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრული თავისუფლებებისა და უფლებების დაცვას.

საუბრისას ადგილზე მოსულმა შსს-ს თანამშრომელმა ჩათვალა, რომ კანონდარღვევას ადგილი არ ჰქონია, რაზეც მეტყველებს ისიც, რომ პოლიციელმა ადგილი მალევე დატოვა. მარიამის დაკავება მოხდა მოგვიანებით, რასაც ჰქონდა ანგარიშსწორების სახე - დეპუტატისთვის მიუღებელი აზრის დამფიქსირებლისთვის დისკომფორტის შექმნის მიზნით. მარიამს შეეზღუდა თვითმფრინავში ასვლის უფლება, ის დააკავეს და გადაიყვანეს საქალაქო სასამართლოში. არ დაუკავებიათ, თუმცა თავისუფალი გადაადგილების უფლება შეუზღუდეს და გაფრენის უფლება არ მისცეს მარიამის თანმხლებ პირსაც - ირინა გურგენაშვილს, რომელსაც მონაწილეობა

აღნიშნულ მოვლენებში საერთოდ არ მიუღია. ირინა გურგენაშვილს ჩამოართვეს პასპორტი და „განუმარტეს“, რომ მიღებულია გადაწყვეტილება მისი ბორტზე არდაშვების შესახებ. მოქალაქისადმი ამგვარი მოპყრობა, ყოველგვარი დასაბუთების გარეშე გადაადგილების კონსტიტუციით გარანტირებული თავისუფლების შეზღუდვა კანონმდებლობის კიდევ ერთ უხეშ დარღვევას წარმოადგენს. მნიშვნელოვანია ისიც, რომ ამ მოვლენების პარალელურად ვიქტორ ჯაფარიძე თავისუფლად გაფრინდა და მისი გადაადგილება არ შეფერხებულა. ეს იმას ნიშნავს, რომ პოლიციამ მარიამის დაკავებისა და მისი თანმხლები პირისთვის გაფრენის უფლების შეზღუდვის გადაწყვეტილება ვიქტორ ჯაფარიძის ნათქვამის საფუძველზე, ყოველგვარი დამატებითი გამოკვლევისა თუ კითხვების გარეშე მიიღო.

საქმის განხილვა თბილისის საქალაქო სასამართლომ 9 ივნისსვე დაიწყო, თუმცა მტკიცებულებების წარმოდგენისთვის მხარეებს დრო მისცა და პროცესი 19 ივნისისთვის გადადო. მომხდართან დაკავშირებით გამოვიყენებთ ჩვენს ხელთ არსებულ ყველა საშუალებას, მათ შორის - მივმართავთ სასამართლოს მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით, საქართველოს პარლამენტის ეთიკის საბჭოს - დეპუტატის მხრიდან ეთიკის კოდექსის მოთხოვნების დარღვევის დასადგენად და სახალხო დამცველს - აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით პოზიციის დასაფიქსირებლად.

აშშ-მა ქართველ მაღალჩინოსნებს სანქციების პირველი ტრანში დაუწესა - მმართველი პარტიის გამოხმაურებები

ივნისს, აშშ-ის სახელმწიფო დეპარტამენტის სპიკერმა მეთიუ მილერმა განაცხადა, რომ „ქართული ოცნების“ ანტიდემოკრატიული ქმედებებიდან, ასევე მისი ბოლოდროინდელი განცხადებებიდან და რიტორიკიდან გამომდინარე, რაც საფრთხეს უქმნის საქართველოს ევროპულ მომავალს, აშშ-მა გადაწყვიტა, ათობით ქართველ პირს სანქციები დაუწესოს. სავიზო შეზღუდვების პირველი ტრანში მოიცავს პარტია „ქართული ოცნების“ წევრებს, პარლამენტის წევრებს, სამართალდამცავებსა და კერძო პირებს, ასევე მათ ოჯახის წევრებსაც.

ივნისს, ევროკავშირის ელჩმა საქართველოში, პაველ ჰერჩინსკიმ, განაცხადა, რომ ევროკავშირი გადახედავს, კვლავ მოქმედებს თუ არა საქართველოსთვის სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის პირობები. აგრეთვე, მისი თქმით, შესაძლოა, ევროკავშირმა წლების განმავლობაში საქართველოსთვის გაწეული ფინანსური დახმარება შეზღუდოს.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის განცხადებით, სანქციები არასერიოზულია და კონტრპროდუქტიულია იმ სუბიექტებისთვის, რომლებიც მათზე საუბრობენ. მან გაიხსენა აშშ-ის მიერ ქართველი მოსამართლეებისთვის დაწესებული სანქციებიც, რომლებიც, მისი შეფასებით, უსაფუძვლო და ანტიქართული იყო და საქართველოში აშშ-ის რეპუტაცია დააზიანა.

- კითხვაზე, თუ რას ეტყოდა ქართველ ხალხს, რომელსაც შეიძლება ევროკავშირმა ვიზალიბერალიზაცია გაუუქმოს, კობახიძემ განაცხადა, რომ „ქართველი ხალხის დასჯას ვერავინ გაბედავს“. მოსახლეობის 60% მმართველ პარტიასა და „გამჭვირვალობის კანონს“ უჭერს მხარს და „ქართული ოცნების“ აქციასაც უფრო მეტი ადამიანი დაესწრო, ვიდრე - საპროტესტო გამოსვლებს კანონის წინააღმდეგ.

კობახიძემ ვიზალიბერალიზაციის შესაძლო გაუქმება ქართველი ხალხის წინააღმდეგ განხორციელებულ ქმედებად წარმოაჩინა.

- შალვა პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ ის დამოუკიდებელი საქართველოს ხალხის მიერ არჩეული პარლამენტის თავმჯდომარეა; აქედან გამომდინარე, არ აპირებს გადაწყვეტილებები სხვა ქვეყნების შანტაჟსა და მუქარაზე დაყრდნობით მიიღოს. მან საქართველოს დასავლელი პარტნიორები კვლავ გააიგივა რუსეთთან და განაცხადა, რომ რუსეთი არაერთხელ ცდილობდა ქართველ ხალხზე გავლენა სანქციებით მოეპოვებინა, თუმცა ახლა დასავლეთიც მსგავსი „რუსული სტილით“ ესაუბრება ქართველ ხალხს.

- ასევე, პაპუაშვილმა განაცხადა, რომ როდესაც ნატო-ს წევრი ქვეყნების უმრავლესობა ავღანეთში შტაბებიდან არ გამოდიოდა, ქართველი ჯარისკაცები წინა ხაზზე იბრძოდნენ. „განსაკუთრებით, აქ რომ იყვნენ და მიტინგზე გამოდიოდნენ ამ ქვეყნების წარმომადგენლები, რომლებიც გულში მჯიღს იცემენ და ბრძოლისკენ იქაჩებიან; სადაც საომარი და საბრძოლო იყო, შტაბიდან არ გამოდიოდა ბევრი წარმომადგენელი“, - განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ და ირწმუნებოდა, რომ როდესაც აშშ სანქციებით ემუქრება ქვეყანას, რომლის მხარდამხარ იბრძოდა ავღანეთში, აზიანებს მხოლოდ პარტნიორობას ამ ორ ქვეყანას შორის.

- მეთიუ მილერის 6 ივნისის განცხადებამდე, „ქართული ოცნების“ გენერალური მდივანი და თბილისის მერი კახა კალაძე ამტკიცებდა, რომ საქართველოს ხელისუფლების წინააღმდეგ **სანქციების დაწესებაზე საუბარი არასერიოზულია**, რადგან ხელისუფლებას არაფერი გაუკეთებია ისეთი, რაც სანქცირების საჭიროებას მოიტანდა; ხოლო სავიზო შეზღუდვების დაანონსების შემდგომ, კალაძემ განაცხადა, რომ **„ამ სანქციების არავის ეშინია“** და „ღიმილისმომგვრელია“, როდესაც საქართველოს მმართველ პარტიას ევროინტეგრაციისთვის ძირის გამოთხრაში ადანაშაულებენ.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატ ირაკლი ზარქუას შეფასებით, დროა, აშშ-ში ცვლილებები მოხდეს და დონალდ ტრამპმა ამერიკა „უფრო დიადი და სამართლიანი“ გახადოს. **„მისტერ ტრამპ, აბა, თქვენ იცით, გამარჯვებები!“** - ამბობდა ზარქუა.

- მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრის, გურამ მაჭარაშვილის, განცხადებით, არჩევანი რომ ჰქონდეს საქართველოში ეროვნული დროშით სიარულსა და აშშ-ში ლგბტ დროშით სიარულს შორის, თავდაპირველს აირჩევდა. ის იმედოვნებს, რომ აშშ გადახედავს ურთიერთობებს საქართველოსთან და ამ უკანასკნელს აღიქვამს არა როგორც მეორად პროდუქტად, არამედ - თანაბარი უფლებების სახელმწიფოდ.

- „ხალხის ძალის“ მორიგი წევრის, დიმიტრი ხუნდაძის, შეფასებით, აშშ-მა უხეში შეცდომა დაუშვა, როდესაც საქართველოს შიდა საქმეებში ჩაერია და სახელმწიფო ინსტიტუტებზე ზეწოლა მოახდინა. მან სანქციებს „დემოკრატიის უკუსვლა და დასავლური დემოკრატიის შავი დღე“ უწოდა და განაცხადა, რომ ურჩევნია, კანონის მიღებისთვის დასანქცირდეს, ვიდრე საქართველოს „მაიდანიზაცია“ და ქართველი მოქალაქეების ომში მიწვევა მიიღოს.

„ქართული ოცნება“ ღალატში ადანაშაულებს მათ, ვინც აშშ-ის კონგრესში საქართველოში მიმდინარე მოვლენების შესახებ მოსმენაზე სიტყვით გამოვიდნენ

ივნისს, აშშ-ის კონგრესში მოქმედი ევროპის უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის კომისიის („ჰელსინკის კომისიის“) ფარგლებში ჩატარებულ მოსმენაზე MEGOBARI („მეგობარი“) აქტზე ისაუბრეს, რომელიც ითვალისწინებს სანქციებს საქართველოში დემოკრატიული პროცესების დარღვევისთვის და ასევე პირობებს ორმხრივი ურთიერთობების გამყარებასთან და მხარდაჭერასთან დაკავშირებით. მოსმენაზე სიტყვით გამოვიდნენ „სამოქალაქო ფონდის“ ევროინტეგრაციის პროგრამის ხელმძღვანელი ივანე ჩხიკვაძე, ევროკავშირში საქართველოს ყოფილი ელჩი და „ჩეთემ ჰაუსის“ უფროსი მკვლევარი ნატალია საბანაძე და საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი და „რენდის კორპორაციის“ უფროსი მკვლევარი უილიამ კორტნი. მოსმენა ეხებოდა „უცხოეთის გავლენის აგენტების“ რუსული სტილის კანონპროექტის მავნე შედეგებს, საქართველოს ხელისუფლების მიერ გამოსვლების დარბევას, რეპრესიებსა და, ზოგადად, მმართველი პარტიის ნაბიჯებს ავტორიტარული მმართველობისკენ.

- პრემიერ-მინისტრ ირაკლი კობახიძის შეფასებით, ცინიკურია, როდესაც კონგრესში განხილულ კანონს „მეგობარი“ ჰქვია, რადგან მასში მტრობაზეა საუბარი და უწოდებს „დაუძინებელ პარტნიორებს“, რომლითაც მიუთითებს, რომ მიუხედავად ამ ქვეყნების ფორმალური სტატუსისა, მათ მავნე მიზნები აქვთ].

- კობახიძემ გაიმეორა ნარატივი, თითქოს საქართველოში აშშ-ის ყოფილი ელჩი კელი დეგნანი 2020-2022 წლებში სახელმწიფო გადატრიალების მცდელობებში იყო ჩართული; აქედან გამომდინარე, კონგრესში გამართული მოსმენა არა - ამყარებს, არამედ კიდევ უფრო აზიანებს ქართულ-ამერიკულ თანამშრომლობას. აგრეთვე, პრემიერ-მინისტრმა ივანე ჩხიკვაძისა და ნატალია საბანაძის განცხადებებს ღალატი უწოდა.

- კობახიძე ირწმუნებოდა, რომ **საქართველოში აშშ-ის ფინანსური დახმარების ძირითადი ნაწილი არასამთავრობო ორგანიზაციების დაფინანსებას ხმარდება; აქედან გამომდინარე, ის არ უნდა აღიქმებოდეს, როგორც საქართველოს დახმარება.** აგრეთვე, პრემიერ-მინისტრის შეფასებით, თავდაცვის სექტორში საქართველოსთვის გაწეული დახმარება ისევ და ისევ აშშ-ის ინტერესებშია და მისი შემცირება ამერიკულ მხარესაც თანაბრად დააზიანებს.

- პარლამენტის თავმჯდომარის, შალვა პაპუაშვილის, განცხადებით, ივანე ჩხიკვაძისა და ნატალია საბანაძის განცხადებები ისტორიას დარჩება, როგორც **უდიდესი ღალატის შემთხვევა** სამშობლოს წინააღმდეგ. მისი შეფასებით, როგორც სერგო ორჯონიკიძე გაუძღვა წითელ არმიას 1921 წელს, ჩხიკვაძე და საბანაძე საქართველოში შემოუძღვნენ სანქციებს.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ნინო წილოსანის განცხადებით, „ჰელსინკის კომისიამ“ მოსმენა გამართა „ვადაგასული პოლიტიკოსის“ - შალვა ნათელაშვილის - წერილის საფუძველზე, მოუსმინა „ვადაგასულ ელჩს“ - ნატალია საბანაძეს, როდესაც ერთ-ერთმა ამერიკელმა კონგრესმენმა რევოლუცია დააანონსა. წილოსანის შეფასებით, აღნიშნული მოსმენა ალტერნატიული რეალობის შექმნის მცდელობა იყო.

- „რაც დღეს ჩვენ ამერიკის კონგრესში ვიხილეთ ამერიკელი კონგრესმენების მხრიდან, ეს იყო პირდაპირ ძალადობრივი რევოლუციის დაანონსება, **საქართველოს „უკრაინიზაციის“ გეგმა** და ჩვენი ქვეყნის განადგურების დაუოკებელი სურვილი“, - განაცხადა მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრმა მიხეილ ყაველაშვილმა.

- მოძრაობა „ხალხის ძალამ“ კონგრესში გამართულ მოსმენასთან დაკავშირებით განცხადება გაავრცელა და ის შეაფასა, როგორც „უსამშობლო ქართველების“ მონაწილეობით მოწყობილი **„სიბორიტით და რევანშიზმით აღსავსე კლოუნადა“**, რომელმაც ყველაზე მკაფიოდ ახადა ფარდა საქართველოსთან დაკავშირებით, დასავლეთში ზოგიერთი პოლიტიკური ჯგუფის ინტერესებს, რომ **ხალხის მიერ არჩეული ხელისუფლება ნებისმიერი ფორმით მოიშორონ** და მმართველობაში მათი აგენტურა დააბრუნონ. განცხადების თანახმად, ცინიკურია და ქართველი ხალხის დაცინვაა, რომ კანონს „მეგობარი აქტი“ დაარქვეს, რადგან ის, სინამდვილეში, **„მტრული აქტია“.** ამასთანავე, ყველაზე ტრაგიკული ისაა, რომ აშშ-მა მოწმეებად ორი უსამშობლო ქართველი მიიწვია და საკუთარ ქვეყანაზე „ათასი სისაძაგლე და ბოროტება“ ათქმევინა. განცხადებაში აღნიშნულია, რომ „მტრული აქტით“ აშკარად გამოიკვეთა რევოლუციით მუქარა და საქართველოს „უკრაინიზაცია“.

- განცხადებაში განხილული იყო ნატო-ს მეხუთე მუხლიც. მოძრაობის შეფასებით, **ქართულ საზოგადოებას მუდმივად ატყუებდნენ, რომ ნატო-ს წევრობა ქვეყნის უსაფრთხოების გარანტია იქნებოდა.** საქართველოს მოსახლეობა მოტყუებით დაარწმუნეს, რომ ნატო-ს წევრობის შემთხვევაში სამხედრო აგრესია მომენტალურად გამოიწვევდა აშშ-ის ჯარის ჩართვას კონფლიქტში. თუმცა, განცხადების თანახმად, ალიანსის მეხუთე მუხლი მანიპულაციური ჩანაწერია, რომელიც თითოეულ წევრ ქვეყანას აძლევს სრულ უფლებას, იხელმძღვანელოს საკუთარი ინტერესების გათვალისწინებით და თავი აარიდოს ნებისმიერ სამხედრო კონფლიქტში ჩართვას, მათ შორის - წევრ ქვეყანაზე თავდასხმის შემთხვევაშიც. „ჩნდება კითხვა - ვის რაში დასჭირდა წლების განმავლობაში ეწარმოებინა სიცრუეზე დაფუძნებული პროპაგანდა, რათა ქართველი ხალხი მოეტყუებინა? პასუხი მარტივია - წლების განმავლობაში, ევროკავშირისა და ნატოს საკითხს **„გლობალური ომის პარტია“** ხალხზე ზემოქმედების ინსტრუმენტად იყენებს“, - აღნიშნულია განცხადების დასკვნით ნაწილში.

„ქართული ოცნების“ შეფასებით, ევროპარლამენტში ჩატარებული არჩევნების შედეგები ევროპული პოლიტიკის სისუსტეებზე მიუთითებს

- შალვა პაპუაშვილის განცხადებით, საფრანგეთში ჩატარებული რიგგარეშე არჩევნები, ბელგიის პრემიერ-მინისტრის გადადგომა და გერმანიაში მმართველი კოალიციის საარჩევნო შედეგები მოსახლეობის მხრიდან ევროპის ქვეყნების პოლიტიკის, განსაკუთრებით - საგარეო პოლიტიკის, შეფასებას აჩვენებს. პაპუაშვილის შეფასებით, მნიშვნელოვანი ტენდენციაა, რომ ევროპელი ახალგაზრდობა მეტად უჭერს მხარს კონსერვატორულ, ტრადიციულ მიდგომებს.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, ირაკლი ზარქუას მტკიცებით, საქართველოსთვის დაწესებულ „უსაგნო, უსაფუძვლო, უარგუმენტო“ სანქციებს პასუხი ევროკავშირის ამ არჩევნებმაც გასცა - „გამოდის, რომ ეროვნული ინტერესების დაცვა, უცხოური გავლენის შემცირება, რასაც მხარი დაუჭირა ევროკავშირის მოსახლეობის უმრავლესობამ, დემოკრატიის ძირის გამოთხრაა? დაასანქცირეთ მაშინ ევროკავშირის მოსახლეობაც“, - განაცხადა დეპუტატმა.

- „ქართული ოცნების“ მორიგი დეპუტატის, ალუდა ღუდუშაურის შეფასებით, საფრანგეთის პრეზიდენტ ემანუელ მაკრონის - რომელმაც რუსულ კანონად მიჩნეული კანონპროექტი „უცხოეთის გავლენის აგენტების შესახებ“ დაგმო - პოლიტიკა კრახია. ის ირწმუნებოდა, რომ ევროპის პოლიტიკის შემქმნელებმა ზემოაღნიშნულს თვალი უნდა გაუსწორონ, რადგან „ულტრალიბერალური ხაზი, რომელიც ევროპაში დომინირებდა, მთელ რიგ ქვეყნებში იქნა ფუნდამენტურად შეცვლილი.“

- „ქართული ოცნების“ დეპუტატ ირაკლი ქადაგიშვილის განცხადებით, ევროპარლამენტის არჩევნები ადასტურებს, რომ ე.წ. რადიკალური ლიბერალიზმი ევროპაში პოზიციებს კარგავს და მის ადგილს ნელ-ნელა, მაგრამ განუხრელად, მემარჯვენე ორიენტაციის მქონე პოლიტიკური ძალები იჭერს. მისი შეფასებით, ევროპამ უნდა გაიაზროს, რომ ევროპული მომავალი ევროპაში უნდა წყდებოდეს, განვითარებას ფსევდოლიბერალიზმი აფერხებს და ომი არ უნდა იყოს ევროპის პრიორიტეტი.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატის, დავით მათიკაშვილის განცხადებით, ევროპარლამენტის არჩევნების შედეგები ადასტურებს, რომ ევროპის ელექტორატი არ ენდობა პოლიტიკურ სისტემას, პოლიტიკურ აქტორებს, რომლებიც აქამდე მართავდნენ ევროპარლამენტში პროცესებს და, ზოგადად, ევროკავშირის პოლიტიკას. პროცესები, რომლებიც დღემდე ევროკავშირში მიმდინარეობდა, თავად ევროპის მოსახლეობისთვის აღმოჩნდა სასურველი.

- პროსახელისუფლებო ტელევიზია „პოსTV-მ“, რომელსაც მოძრაობა „ხალხის ძალის“ წევრი და დეპუტატი ვიქტორ ჯაფარიძე ფლობს, გამოაქვეყნა ემანუელ მაკრონის გამაშარჟებელი პოსტი, რომელშიც აღბეჭდილია, თუ როგორ გახდა საფრანგეთის პრეზიდენტი ემანუელ მაკრონი იძულებული, დაენიშნა რიგგარეშე არჩევნები საკუთარი გაუარესებული რეპუტაციის გამო, თუმცა რამდენიმე საათის წინ საქართველოს ხელისუფლებას აკრიტიკებდა.

- „პოსTV-ის“ მორიგი პოსტი **მიზნად ისახავდა ყოფილი ევროპარლამენტარების ვიოლა ფონ კრამონისა და ანნა ფოტიგას დაკნინებას** წარწერით, რომ ისინი არჩევნებში დამარცხდნენ და ლობისტურ კავშირში არიან „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასთან“.

„ქართულმა ოცნებამ“ დაიინიციირა კანონპროექტი „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ

ივნისს, პარლამენტის თავმჯდომარემ შალვა პაპუაშვილმა წარადგინა მმართველი პარტიის გეგმა, დაიინიციიროს კანონპროექტი „ოჯახური ღირებულებებისა და არასრულწლოვანის

დაცვის შესახებ“, რომელიც დამატებით 18 მოქმედ კანონში ლგბტ უფლებების შემზღუდავ ცვლილებას ითვალისწინებს. პაპუაშვილის განცხადებით, კანონპროექტი საგაზაფხულო სესიის განმავლობაში განიხილება, ხოლო საშემოდგომო სესიაზე მეორე და მესამე მოსმენით იქნება მიღებული.

1. დაუშვებელი იქნება ქორწინების ალტერნატიული კავშირის რეგისტრირება, ანუ თუ ის არ იქნება კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის.
2. დაუშვებელი იქნება იმ ადამიანების მიერ შვილის აყვანა, რომლებიც საკუთარ თავს დაბადებისას მინიჭებული სქესისგან განსხვავებულ სქესს მიაკუთვნებენ ან არ არიან ჰეტეროსექსუალები.
3. აკრძალული იქნება პირისთვის სქესის შეცვლის მიზნით ქირურგიული ოპერაციის ჩატარება.
4. აკრძალული იქნება პირადობის დამადასტურებელ დოკუმენტში ან სახელმწიფოს მიერ გაცემულ სხვა დოკუმენტში დაბადებისას მინიჭებული სქესისგან განსხვავებული სქესის მითითება.
5. დაუშვებელი იქნება საგანმანათლებლო დაწესებულებაში „ლგბტ პროპაგანდის“ წარმოება, კერძოდ, ისეთი ინფორმაციის გავრცელების ხელშეწყობა, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ დაბადებისას მინიჭებული სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.
6. კანონპროექტი მაუწყებლებს უკრძალავს, გაავრცელონ ინფორმაცია, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ დაბადებისას მინიჭებული სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.
7. დაუშვებელი იქნება საჯარო შეკრება ან მანიფესტაცია, რომელიც მიმართულია ადამიანის მიერ დაბადებისას მინიჭებული სქესისგან განსხვავებული სქესისთვის მიკუთვნების, ერთი და იმავე სქესის წარმომადგენლებს შორის ურთიერთობის ან ინცესტის პოპულარიზაციისკენ.
8. დაბოლოს, ბათილი იქნება შრომითი ურთიერთობების - როგორც კერძო, ისე საჯარო დაწესებულებებში - ფარგლებში დაკისრებული ისეთი ვალდებულება, რომელიც მიმართულია ბიოლოგიური სქესის უგულებელყოფისკენ.

- პრემიერ-მინისტრის განცხადებით, ადამიანის უფლებები დაცულია და მომავალშიც დაცული იქნება. თუმცა პროპაგანდა მიუღებელია და ზემოაღნიშნული კანონპროექტი სწორედ პროპაგანდას ეხება.

- პაპუაშვილის განცხადებით, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს მოსახლეობა მხარს უჭერს აღნიშნულ კანონპროექტს, ოპოზიცია მას ეწინააღმდეგება, რადგან ისინი მხოლოდ „უცხოელი პატრონების“ მხარეს იჭერენ.

მმართველი პარტიის სხვა დეზინფორმაციული და პროპაგანდისტული ნარატივები

- კობახიძის განცხადებით, მაიდნის რევოლუციის შემდეგ, **უკრაინაში ხელისუფლება გარედან დაინიშნა და ქვეყანას გამანადგურებელი შედეგები მოუტანა.** მისი

შეფასებით, რევოლუციამდე უკრაინა იყო ქვეყანა, რომელსაც ტერიტორიული მთლიანობა ჰქონდა და ეკონომიკური აღმავლობის გზაზე იყო. დღეს უკრაინა განადგურებულია, რუსეთმა მისი ტერიტორიის 20%-ის ოკუპაცია მოახდინა და ათი ათასობით ადამიანია დაღუპული. „ჩვენ ყველაფერს გავაკეთებთ იმისთვის, რომ საქართველოში მაიდანი და „უკრაინიზაცია“ არ დავუშვათ. **„მეორე ფრონტი“** არის ის, რასაც ჩვენ არ დავუშვებთ ჩვენს ქვეყანაში“, - აღნიშნა კობახიძემ.

- პაპუაშვილი ირწმუნებოდა, რომ როგორც ევროპა საქართველოს ექცეოდა ბოლო ორი წლის განმავლობაში, **უსამართლოა და არ შეესაბამება ევროპულ ღირებულებებს.** მან ევროკავშირის ელჩს უსაყვედურა ევროკავშირიდან საქართველოში შემოდინებული ფინანსების გასაჯაროებასა და **ევროპის დემოკრატიული ფონდის საქმიანობის გამჭვირვალობის უზრუნველყოფაზე** უარის თქმის გამო - პაპუაშვილის განცხადებით, ევროპის დემოკრატიული ფონდი საქართველოში ფარულად, **პოლიტიკური მიზნებით რადიკალიზაციისა და ტერორის დასაფინანსებლად**, მოქმედებს. პაპუაშვილის მტკიცებით, ევროკავშირში არსებული გარკვეული სტრუქტურებისთვის ხელსაყრელია, რომ საქართველოში ერთგვარი „ფარული ყულაბა“ არსებობდეს, რომლითაც პოლიტიკურ პროცესებზე ზეგავლენის მოხდენის შესაძლებლობა ექნებათ - „ეს არის ყველაზე ანტიევროპული ქცევა“, - აღნიშნა პაპუაშვილმა.

- „ატლანტიკური საბჭოს“ თავისუფლებისა და კეთილდღეობის ინდექსზე კომენტარი გააკეთა როგორც შალვა პაპუაშვილმა, ისე - კახა კალაძემაც. ანგარიშმა საქართველო თავისუფალი ქვეყნების სიას მიაკუთვნა - პოზიციურად პოლონეთზე, უნგრეთსა და ევროკავშირის კანდიდატ ქვეყნებზე წინ. მმართველი პარტიის მაღალჩინოსნების განცხადებით, ინდექსი კონკრეტული ფაქტია, რომ საქართველოს უსამართლოდ არ მიენიჭა ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსი 2022 წელს და დღესაც უსამართლოდ აკრიტიკებენ ქვეყანას ევროკავშირის წარმომადგენლები. რეალურად, თავისუფლებისა და კეთილდღეობის ინდექსი 2022 წლის მონაცემებს ეფუძნება - ანუ პერიოდს, სანამ მმართველმა პარტიამ ე.წ. „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონი დააინიციირა.

- „ქართული ოცნების“ დეპუტატმა ნინო წილოსანმა ისაუბრა „უცხოური გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონთან დაკავშირებით OSCE/ODIHR-ის სამართლებრივ ანალიზზე, რომლის თანახმადაც, კანონპროექტი „შეიცავს სერიოზულ ხარვეზებს, რაც მას შეუთავსებელს ხდის ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებთან“. დეპუტატის შეფასებით, როდესაც მმართველი პარტიის წევრები OSCE/ODIHR-ის წარმომადგენლებს შეხვდნენ, მათ დაინახეს აღნიშნული კანონის მიღების საჭიროება. თუმცა კრიტიკული ანალიზი მაინც გამოაქვეყნეს, რადგან, წილოსანის მტკიცებით, „ეს არის მიხეილ სააკაშვილის ადვოკატის მიერ მომზადებული დასკვნა... უკვე ნათელია პოლიტიკური მიკუთვნებადობა ამ დასკვნის პირობებში.“ რეალურად, სააკაშვილის ერთ-ერთ ადვოკატს, ჯერემი მაკბრაიდს, არ დაუწერია დასკვნა. ის შედიოდა ODIHR-ის შეკრებისა და გაერთიანების თავისუფლების საკითხებში ექსპერტთა პანელში.

პროკრემლისტური ჯგუფები კვლავ იმეორებენ „ქართული ოცნების“ ნარატივებს

- პრორუსულად განწყობილმა ტელეკომპანია „სეზონის“ წამყვანმა და პროპაგანდისტმა ნიკოლოზ მჟავანაძემ განაცხადა, რომ დასავლური ქვეყნები საქართველოს წინააღმდეგ რუსეთთან პრობლემების შესაქმნელად იბრძვიან. კერძოდ, ეს მცდელობები მოიცავს **საქართველოში რევოლუციის მოწყობისა და „ქართული ოცნების“ ხელისუფლების გადაგდების გეგმებსაც.** მჟავანაძის თქმით, დასავლელი პოლიტიკოსები ღიად აცხადებენ, რომ საქართველოში **მაიდნის მსგავსი რევოლუციის მოწყობა სურთ.**
- ჯონდი ბაღათურია, ანტიდასავლური პოლიტიკური მოძრაობა „ქართული დასის“ ლიდერი, ტელეკომპანია „სეზონის“ ეთერში ირწმუნებოდა, რომ რუსული სტილის ე.წ. „უცხოური აგენტების“ შესახებ კანონის წინააღმდეგ ორგანიზებული საპროტესტო აქციები **საქართველოს დესტაბილიზაციის მიზნით, დასავლეთის მიერ ჩატარებული სპეცოპერაცია იყო**, რომელიც წარუმატებელი აღმოჩნდა. მისი შეფასებით, ბევრმა ადამიანმა, განსაკუთრებით ახალგაზრდებმა, გაიაზრეს, რომ პრივილეგირებული ორგანიზაციები და პოლიტიკური პარტიების წარმომადგენლები მათ პაიკებად იყენებდნენ.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში პროპაგანდისტი ამტკიცებდა, რომ პროდასავლელ ადამიანებს, რომლებიც კანონპროექტს ეწინააღმდეგებიან, არ აქვთ უნარი, დამოუკიდებლად შეაფასონ ვითარება, რადგან ისინი დასავლეთის მონები არიან. დასავლეთს რომ კანონისთვის „რუსული“ არ შეერქმია, საპროტესტო გამოსვლებიც არ დაიწყებოდა, რადგან ზემოაღნიშნული წოდება უსაფუძვლოა და მას მხოლოდ კრიტიკული აზროვნების უნარის არმქონე ადამიანები იყენებენ.

- ედიშერ გვენეტაძე, პრორუსი პროპაგანდისტი, რომელიც ასევე ხშირად სტუმრობს პროსახელისუფლებო მედია არხებს, ირწმუნებოდა, რომ მთელი სამყარო, განსაკუთრებით ევროპული და ამერიკული ბიუროკრატია, საქართველოს წინააღმდეგ გაერთიანდა - თითქოს, ისინი ქვეყნის დასაპყრობად ბრძვიან. მისი თქმით, „უცხოეთის გავლენის აგენტების შესახებ“ კანონპროექტის საერთაშორისო კრიტიკა საქართველოს წინააღმდეგ არსებული ფარული გეგმის დასტურია.

- ედიშერ გვენეტაძის მორიგი მტკიცების თანახმად, აშშ-მა ქართველი მაღალჩინოსნები დაასანქცირა, რადგან ქართველი ხალხის მიერ არჩეულმა ხელისუფლებამ **ვაშინგტონისგან ნებართვა არ აიღჩო „უცხოეთის გავლენის გამჭვირვალობის შესახებ“ კანონპროექტის მიღებამდე**, ხოლო დასავლეთი საქართველოს მონად აღიქვამს. გვენეტაძის თქმით, საქართველო მსგავს სიტუაციაში კრემლსაც კი არ ჩაუყენებია.

- ყოფილი მაღალი რანგის ოფიცერი, რომელიც 2008 წლის ომში რუსეთისთვის ჯაშუშობაში იყო მსჯავრდებული, ტრისტან წითელაშვილი ამტკიცებდა, რომ **კანონპროექტი საქართველოს მომავალი თაობების გადასარჩენადაა მნიშვნელოვანი** - მათ შორის მათთვისაც, ვინც დასავლეთის გავლენის ქვეშ არიან.

- „ალტ-ინფოს“ ეთერის ერთ-ერთი წამყვანმა და პროპაგანდისტმა გიორგი ძველაიამ, მმართველი პარტიის მსგავსად, აშშ-ის სანქციებს **შანტაჟი და მუქარა** უწოდა. აღნიშნული ნარატივი სხვა პროპაგანდისტმაც გაიმეორა და აღნიშნა, რომ აშშ-ის სადაზვერვო სამსახურების მასშტაბები საქართველოში განადგურების პირასაა მისული, რამაც სანქცირება გამოიწვია.

- „ალტ-ინფოს“ მორიგი პროპაგანდისტის თქმით, დასავლეთმა დესტაბილიზაცია, სისხლისღვრა და განადგურება მოუტანა ნებისმიერ ქვეყანას, რომელზეც გავლენა მოიპოვა. „ქართულმა ოცნებამ“, არასამთავრობო სექტორის განადგურებით, არ უნდა დაუშვას, რომ მსგავსი სცენარი საქართველოშიც განმეორდეს.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში სტუმარმა გააჟღერა კონსპირაციული ნარატივი, თითქოს დასავლური ფინანსები საქართველოში შუა აღმოსავლეთიდან და სომხეთიდან შემოედინება და 2018 წელს სომხეთის ხავერდოვანი რევოლუციაც სწორედ ამ წყაროებით დაფინანსდა. მისი მტკიცებით, კანონპროექტი „აგენტების წინააღმდეგ“ ზემოაღნიშნულ მცდელობებსა და საქართველოში აშშ-ისა და ევროპის ფარულ საქმიანობას ძირს გამოუთხრის.

პროკრემლისტური ჯგუფების ანტიდასავლური შეთქმულების თეორიები

- „ალტ-ინფოს“ ეთერში მღვდლის თქმით, დასავლეთი კანონპროექტს „ლგბტ პროპაგანდის“ წინააღმდეგ ეწინააღმდეგება, რადგან მას აღიქვამს, როგორც **საქართველოს მცდელობას, თავი გაითავისუფლოს დასავლეთის მონობისგან.** ის ირწმუნებოდა, რომ საქართველო დასავლეთის კოლონია იყო, რადგან ეს უკანასკნელი განსაზღვრავდა, რა კანონები უნდა მიეღო საქართველოს ხელისუფლებას - დასავლეთი **აფინანსებდა კანონებს, რომლებიც მართლმადიდებლურ რწმენას ზღუდავდა და ქართულ ოჯახს „ლიბერალურ ოჯახად“ აქცევდა.**

- „ალტ-ინფოს“ ერთ-ერთმა წამყვანმა გაიმეორა მოძრაობა „ხალხის ძალის“ ნარატივი, რომლის თანახმადაც ნატო-ს მეხუთე მუხლი **წევრ ქვეყნებზე თავდასხმის შემთხვევაში უსაფრთხოების გარანტია არაა.** ის, აგრეთვე, ამტკიცებდა, რომ „ლგბტ დღის წესრიგს“ დასავლეთი მედიის, ფილმების, არასამთავრობო ორგანიზაციების, ქართული სატელევიზიო არხებისა და საგანმანათლებლო დაწესებულებების მეშვეობით ავრცელებს, რათა **ქართულ იდენტობას ძირი გამოუთხაროს და მომავალი თაობები გარყვნას.**

- იმავე პროპაგანდისტმა დააკნინა ევროკავშირის ელჩიც, თითქოს **ის და სხვა ევროპელი ბიუროკრატები გარყვნილების პროპაგანდისტები და პედოფილები არიან.** ამასთანავე, პროპაგანდისტის მტკიცებით, დასავლეთისგან საქართველოს დასანქცირებისა და შანტაჟის მიზეზი ისაა, რომ ქვეყანა რუსეთთან კონფლიქტში არ ჩაერთო.

- ტრისტან წითელაშვილი ამბობდა, რომ აშშ-ის, დიდი ბრიტანეთისა და ევროკავშირის ლიბერალ-ფაშისტურმა ლგბტ ძალებმა თავიანთი იდეოლოგია სკოლებში, უნივერსიტეტებსა და სახელმწიფო დაწესებულებებში შეღწევით ტრადიციულ ოჯახებზეც გაავრცელეს, რამაც ქართველი ახალგაზრდები დასავლეთის გავლენის ქვეშ მოაქცია.

- „ალტ-ინფოს“ ეთერში პროპაგანდისტის მტკიცებით, **აშშ ფერად რევოლუციებს არა მხოლოდ პოსტსაბჭოთა სივრცეში**, არამედ მსოფლიოს მასშტაბით აწყობს, რადგან

მისი იდეოლოგია კაცობრიობის წინააღმდეგაა მომართული და მიზნად ისახავს, მსოფლიო დაიმონოს.

- მორიგი პროპაგანდისტი ირწმუნებოდა, რომ წინასაარჩევნო პერიოდში აშშ „ქართული ოცნების“ დეპუტატების გაყალბებულ მასალებს გაავრცელებს მმართველი პარტიის დისკრედიტაციის მიზნით. „შემდეგი ნაბიჯი საქართველოს „მაიდანიზაცია“ იქნება“, - განაცხადა მან.

- მიხეილ ჟღენტი, პრორუსული პარტიის „სოლიდარობა მშვიდობისთვის“ წევრი, ამბობდა, რომ 10-15 წელიწადში ევროპაში ცხოვრება წარმოუდგენელი იქნება. ის ირწმუნებოდა, რომ საქართველომ დაუყოვნებლივ და კატეგორიულად უნდა განაცხადოს უარი დასავლეთთან თანამშრომლობაზე, რადგან მხოლოდ ეს გადაწყვეტილება თუ გადაარჩენს ქვეყანას. მისი შეფასებით, საქართველო განადგურების პირას სწორედ დასავლეთის გავლენამ მიიყვანა. პროპაგანდისტმა აღნიშნულ განცხადებაში, აგრეთვე, ისტორიაც დაამახინჯა და ამტკიცებდა, რომ 1801 და 1921 წლებში რუსეთს არ სურდა საქართველოს ანექსირება, თუმცა დასავლეთისგან გახდა იძულებული. ჟღენტის თქმით, რუსეთი საქართველოს თავს მხოლოდ იმ შემთხვევაში ესხმოდა, როდესაც საშიშროებას გრძნობდა, ხოლო ლიბერალები დღესდღეობით მსგავს საშიშროებებს უქმნიან რუსეთს, რამაც, შესაძლოა, ამ უკანასკნელს საქართველოში შემოჭრისკენ უბიძგოს.